რეგ. № _____ **თარიღი:** __ _____ __

(ივსება შპს „საქართველოს მელიორაციის“ ოპერატორის მიერ)

დანართი N 8.
დამტკიცებულია სემეკის 2024 წლის 9 ივლისის N25/1
გადაწყვეტილებით

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

შპს „საქართველოს მელიორაციას“

„მომხმარებლის მიერ წყალმომარაგების მოცულობის გაზრდის შესახებ“

(სტანდარტული პირობით)

განმცხადებლის საყურადღებოდ!

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაარეგისტრიროს განმცხადებლის მიერ წარდგენილი ნებისმიერი სახის წერილობითი განცხადება (განაცხადი) და დაუყოვნებლივ გასცეს განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, რეგისტრაციის თარიღის მითითებით, ასევე რეგისტრაციისთანავე განმცხადებელს გაუგზავნოს აღნიშნული ინფორმაცია ტექსტური შეტყობინებით.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ვალდებულია განსაზღვროს და საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს საირიგაციო სისტემასთან მიერთების წყალმომარაგების მოცულობის გაზრდის სტანდარტული პირობები და მომსახურების ღირებულება, არსებული 0-150 მმ დიამეტრის წყლის მილის, ასევე ღია სისტემაზე არსებული 0-200 სმ² კვეთის წყლის არხის მიერთების – 1 მ³/წმ-ით გაზრდაზე; ამასთან, შპს „საქართველოს მელიორაცია“ უფლებამოსილია, ასევე განსაზღვროს სტანდარტული პირობით სიმძლავრის გაზრდის ამ პუნქტისგან განსხვავებული სხვა პირობებიც.

სტანდარტული პირობით საირიგაციო სისტემასთან მიერთების წყალმომარაგების მოცულობის გაზრდა შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ უნდა შესრულდეს სრული ტექნოლოგიური ციკლის მომსახურებით, რომელიც მოიცავს მოცულობის გაზრდისთვის საჭირო ყველა მომსახურებას, მასალას, მშენებლობის ნებართვების მოპოვებას, საირიგაციო სისტემის მოწყობას, მათ შორის მიწოდების წერტილის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და მომარაგების დაწყების ჩათვლით.

თუ მომხმარებლის მიერ მოთხოვნილი სიმძლავრის მიწოდება არ საჭიროებს მომხმარებელთან დამაკავშირებელი საირიგაციო სისტემის, აღრიცხვის კვანძის რეკონსტრუქციას ან/და სხვა მოწყობილობების შეძენას, მშენებლობასა და დამონტაჟებას, მომხმარებლის მიერ საირიგაციო სისტემასთან მიერთების წყალმომარაგების მოცულობის გაზრდის სტანდარტული პირობით განსაზღვრული საფასურის გადახდა არ ხდება და ქსელზე მიერთების ახალი ტექნიკური პირობა გაიცემა უფასოდ.

თუ განაცხადის ჩაბარებიდან ერთი საათის განმავლობაში განმცხადებელი არ მიიღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას წესებით განსაზღვრული ინფორმაციის მითითებით, განმცხადებელი უფლებამოსილია, მიმართოს მომსახურე საწარმოს საჩივრებზე რეაგირების სამსახურს, ასევე მარეგულირებელ კომისიას მისამართზე: ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #19; ვებგვერდი: www.gnerc.org; ელ. ფოსტა: mail@gnerc.org; ტელ: 2420180; ქოლცენტრის ნომერი: 16216. კომისიისადმი მიმართვა ასევე შეგიძლიათ სსიპ „იუსტიციის სახლის“ მეშვეობით.

განაცხადის შევსების თარიღი „_____“ „_____“ 20__ წელი;

განცხადების ადრესატი: შპს „საქართველოს მელიორაცია“;

I. პირადი და მაიდენტიფიცირებელი მონაცემები:

1. მიერთების მსურველი (განმცხადებლი):_____;

(სახელი და გვარი, ან იურიდიული პირის შემთხვევაში- სახელწოდება)

2. პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი:_____;
3. განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

3.1. მისამართი:_____;

3.2. განმცხადებლისთვის შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ქვემოთ მოცემულ ერთ ძირითად და ერთ ალტერნატიულ ნომერზე ან ელექტრონულ მისამართზე:

__-__-__-__-__-__ - ძირითადი;

(მობ. ნომერი)

__-__-__-__-__-__ - ალტერნატიული[1];

(მობ. ნომერი)

3.3. ელექტრონული ფოსტის მისამართი (სურვილის შემთხვევაში)

[1]თუ განმცხადებელი ალტერნატიულ ნომერს არ მიუთითებს, განცხადება არ უნდა დახარვეზდეს ამ მიზეზით. ამასთან, განმცხადებელი პასუხისმგებელია აღნიშნულიდან გამომდინარე შედეგებზე.

_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ @ _ _ _ _ _ _ _ _ _ - ძირითადი;

(ელექტრონული ფოსტის მისამართი)

4. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები:_____;

II. ძირითადი ინფორმაცია

5. დაზუსტებული ადგილი (მისამართი), სადაც უნდა მოხდეს წყალმომარაგების მოცულობის გაზრდა:_____;
6. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი[2], სადაც უნდა მოხდეს მოცულობის გაზრდა:_____;
7. საირიგაციო წყლის მოხმარების მიზანი: ☐ პროფილური (საირიგაციო); ☐ არაპროფილური (არასაირიგაციო)[3];
8. პროფილური მომხმარებლის შემთხვევაში, ასევე მიუთითეთ რწყვის მეთოდი:
   ☐ წვეთოვანი; ☐ დაწვიმებით; ☐ მოღვარვით; ან ☐ სხვა მეთოდით:_____;
9. არაპროფილური მომხმარებლის შემთხვევაში, მიუთითეთ რა მიზნით ხდება წყლის მოხმარება:_____;
10. ***მიწოდების წერტილის მონაცემები საიდანაც მოთხოვნილია მოცულობის გაზრდა:***
    10.1. საირიგაციო სისტემის დასახელება:_____;
    10.2. მიწოდების წერტილ(ებ) №_____, _____, _____;
    10.3. მიწოდების წერტილის მოკლედ აღწერილი მისამართი/ადგილმდებარეობა:_____;
    ასევე,
    GPS კოორდინატები (სურვილის შემთხვევაში)№_____ , _____ , _____.
11. მოცულობის გაზრდისთვის მოთხოვნილი პარამეტრები:

მიწოდების წერტილის №	**ივსება მიწოდების წერტილის დახურული სისტემით მომარაგების შემთხვევაში**		**ივსება მიწოდების წერტილის ღია არხით მომარაგების შემთხვევაში**	
	არსებული მილის დიამეტრი - მმ.	მოთხოვნილი მილის დიამეტრი - მმ.	არსებული არხის კვეთი - სმ^2	მოთხოვნილი არხის კვეთის წარმადობის გაზრდა მ^3/წმ-ით

12. შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ ობიექტის საირიგაციო სისტემასთან მიერთების წყალმომარაგების მოცულობის გაზრდის საჯაროდ შეთავაზებული სტანდარტული პირობის #:_____;
    და მომსახურების ღირებულება:_____.

(ღირებულება მოიცავს საირიგაციო სისტემის რეკონსტრუქციის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და მიწოდების წერტილის მოწყობისთვის წესების №4 დანართით განსაზღვრულ საფასურს)

III. ძირითადი მოთხოვნა:

13. გთხოვთ, წინამდებარე განაცხადით განსაზღვრული პირობებისა და თქვენს მიერ შემუშავებული და საჯაროდ შეთავაზებული სტანდარტული პირობების შესაბამისად, განახორციელოთ ობიექტის საირიგაციო სისტემასთან მისაერთებელი მოცულობის გაზრდა.
14. ამ განაცხადის ხელმოწერით ვადასტურებ განაცხადში მოცემული ინფორმაციის სისწორეს და მასში ასახული პირობების შესრულების შემთხვევაში, შევასრულებ წესებით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

IV. დამატებითი ინფორმაცია:

15. შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ ამ განაცხადზე შეტყობინების გაგზავნის ფორმა:
    ☐ წერილობითი; ან ☐ ელექტრონული.
16. განაცხადში მოცემული ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი გამოყენებულ იქნეს საირიგაციო წყლით მომარაგებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების მიზნით: ☐ დიახ, ან ☐ არა;

---

[2] ფიზიკური პირის შემთხვევაში - უძრავი ქონების საკადასტრო კოდის ნაცვლად, შესაძლებელია, განაცხადზე თანდართული იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს.

[3] მიმწოდებელი უფლებამოსილია განაცხადზე დაადგინოს ხარვეზი, თუ არაპროფილური მომხმარებლის სიმძლავრის გაზრდის შედეგად აშკარად შეექმნება საფრთხე პროფილურ მომხმარებელს წყლით მომარაგებაში. იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა, რომ მისაერთებელი ობიექტის მიერ მისაღების წყლის მოცულობის შემცირების და ტექნიკური პარამეტრების ცვლილების მიუხედავად შეუძლებელი იქნება მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება პროფილურ მომხმარებლისთვის წყლით მომარაგების აშკარად საფრთხის შექმნის გარეშე, მიმწოდებელი ვალდებულია მიმართოს კომისიას შესაბამის საირიგაციო სისტემის წყლის მიწოდების არეალზე ახალი ობიექტის მიერთების აკრძალვის პირობების განსაზღვრის მოთხოვნით.

V. თანდართული დოკუმენტაცია:

17. შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ ობიექტის საირიგაციო სისტემასთან მიერთების წყალმომარაგების მოცულობის გაზრდის საჯაროდ შეთავაზებული საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი ☐;
18. წყალმომარაგების მოცულობის გაზრდის შეთავაზებული სტანდარტული პირობა (სურვილის შემთხვევაში) ☐;
19. სხვა თანდართული დოკუმენტაცია (სურვილის შემთხვევაში):___☐;
20. დანართი სულ___ფურცელი.

ხელმომწერის:

სახელი, გვარი:_____;

ხელმოწერა:_____.